სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N70

27 მაისი 2016 წ.

ქ. ბათუმი

ერთის მხრივ,სსიპ ქალაქ ბათუმის #2 საჯარო სკოლა,(შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მარიზა აბაშიძის სახით და მეორეს მხრივ შპს " ორანიე ლეე "მისი დირექტორის ინგა ჩიკვაიძე ლომაძის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ხ" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. CPV- CPV-**22900000** - სხვადასხვა ნაბეჭდი მასალა;

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 403 (ოთხასსამლარი) კერძოდ:

1.2. CPV- CPV-**22900000** - სხვადასხვა ნაბეჭდი მასალა; 403 ლარი;

1.3.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სკოლის დირექტორი.

4.2. საქონელი ჩაითვლება მიღებულადმხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მოწოდების ადგილია: ქ.ბათუმი

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელმოწერის დღიდან 2016 წლის31მაისის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

6.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის27 მაისიდან 2016 წლის1 ივლისის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შემსყიდველი:
სსიპ.ქ.ბათუმის #2 საჯარო სკოლა
მის: ქ.ბათუმი ხ.ახვლედიანის ქ.#19
საიდენტიფიკაციო კოდი 245429488
ბანკი:საქართველოს ბანკი ცენტ/ფილიალი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE48BG0000000119984500

დირექტორის

მ.აბაშიძე

მიმწოდებელი:
შპს „ორანიე ლუე"
მის; ქ.ბათუმი ზ.გორგილაძისქ.21
საიდენტიფიკაციო კოდი: 445395965
ბანკი:საქართველოს ბანკი ცენტ/ფილიალი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE22BG0000000621483100

დირექტორი

ინგა ჩიკვაიძე-ლომაძე

ინფორმაცია

ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ
ფორმა №3
(ივსება მიმწოდებლის მიერ)

№	საქონლის აღწერილობა	კატეგორიის კოდი	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი	მიმწოდებლის აღგილი	მიწოდების ვადა
1	ბეიჯის დამზადება	CPV 22900000	50	0.50	25	ბათუმი	2016 წლის 2 ივლისამდე
2	ბრენდირებული ბლოკნოტი	CPV 22900000	20	2.50	50	ბათუმი	2016 წლის 2 ივლისამდე
3	დაბეჭდილი ბანერი	CPV 22900000	3.20	15	48	ბათუმი	2016 წლის 2 ივლისამდე
4	არკვლის ბეჭდვა და ჭრა	CPV 22900000	10	20	200	ბათუმი	2016 წლის 2 ივლისამდე
5	ბრენდირებული პაპკა	CPV 22900000	1	20	20	ბათუმი	2016 წლის 2 ივლისამდე
6	სტიკერის ბეჭდვა	CPV 22900000	20	3	60	ბათუმი	2016 წლის 2 ივლისამდე
	ჯამი				403		

შემსყიდველი

მ.აბაშიძე /

მიმწოდებელი

ინგა ჩიკვაიძე ლომაძე /

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.ბათუმი 30 მაისი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ ქ. ბათუმის N= 2 საჯარო სკოლის დირექტორის მარიზა აბაშიძის სახით,ხოლო მეორეს მხრივ შპს ორანიე ლეუ მისი დირექტორის ინგა ჩიკვაიძე ლომაძის სახით ,ამ აქტით ვადასტურებთ რომ ჩვენს მიერ 2016 წლის 27 მაისს დადებული N70 ხელშეკრულების საფუძველზე მარიზა აბაშიძეს ჩაბარდა 403 (ოთხასსამოცდაერთი)საქონელი, რომელიც აკმაყოფილებს ხელშეკრულების პირობებს.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელწერით

ჩავიბარე ჩავაბარე

მ.აბაშიძე / / ინგა ჩიკვაიძე- ლომაძე / /